პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 45 (11351)
სამშაბათი
24
თებერვალი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან

23 თებერვალს კრემლში მოხდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჰაროლდ მაკმილანის შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან.

ამ შეხვედრის დროს გაგრძელდა განხილვა საკითხებისა, რომლებიც საინტერესოა ორივე მხარისათვის.

საუბარში საბჭოთა კავშირის მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა.

ინგლისის მხრივ ჰ. მაკმილანთან ერთად საუბარში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა და დიდი ბრიტანეთის ელჩმა სსრ კავშირში სერ პატრიკ რაილმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამოცანების დონეზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს დეპუტატობის კანდიდატები, დაიწყო მათი შეხვედრები ამომრჩევლებთან.

საარჩევნო კამპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დავაყენებთ ამომრჩეველთა შორის პოლიტიკურ მუშაობას. ამიტომ ახლა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გაშალონ საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ამომრჩეველთა შორის.

წინასაარჩევნო კამპანიების დროს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა პოლიტიკური აგიტაციის მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. საჭიროა ახლა მათ მთლიანად გამოიყენონ ეს გამოცდილება, გაამდიდრონ და გაამრავლონ იგი, საარჩევნო კამპანიის სამსახურში ჩააყენონ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალება.

საგიტაციო - პროპაგანდისტული მუშაობის მთავარი შინაარსი უნდა იყოს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა. საჭიროა გულდასმით, დამაჯერებლად განვუმარტოთ მშრომელებს, რომ შვიდწლედის შესრულება იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე. საინტერესოდ უნდა მოვუთხროთ მასებს სსრ კავშირის საამაყო მიღწევებზე, განვუმარტოთ ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა, მისი თანმიმდევრული ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის.

აგიტატორებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მოცემული საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მთავარი ამოცანების გადაწყვეტაზე, რადგან შვიდწლიანი გეგმის წარმატების ბედი წყდება ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური დოვლათი. მაგრამ აგიტატორი მასების მარტო აღმზრდელი როდია. იგი მათი ორგანიზატორიც არის. მან კონკრეტული მაგალითებით უნდა ასწავლოს მასებს, თუ როგორ შეიძლება ტექნიკის უფრო რაციონალურად გამოყენება, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა, მიმდინარე სამუშაოთა წარმატებით შესრულება.

წინასაარჩევნო აგიტაცია კარგად არის მოწყობილი ახალციხის რაიონში, სადაც შეიქმნა და მუშაობს 23 აგიტპუნქტი ათასამდე აგიტატორით.

ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საარჩევნო კამპანია ბოლნისის, ყვარლის, დუშეთის, ცხაკაიას, ხობის, ჭიათურის რაიონებში, ქუთაისში, რუსთავში და სხვ.

პოლიტიკურ აგიტაციასა და პროპაგანდაში მთავარია მისი მაღალი იდეური დონე, მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. ყოველი ლექცია, საუბარი, მოხსენება ისე უნდა ავაგოთ, რომ მშრომელებმა თვალნათლივ დაინახონ მათი როლი და ადგილი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საერთო-სახალხო ბრძოლაში. აუცილებელია, რომ საგიტაციო მუშაობამ ხელი შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლას, ნაკისრ ვალდებულებათა მთლიანად განაღდებას.

წინასაარჩევნო აგიტაციის მაღალი დონე ბევრად არის დამოკიდებული აგიტატორთა მომზადებაზე, მათს უნარზე დაუკავშირონ ყოველი საუბარი ცხოვრებას. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სისტემატურად მოაწყონ აგიტატორთათვის სემინარები, ინსტრუქტაჟი, თათბირები გამოცდილების გაზიარების მიზნით. საჭიროა აგიტატორები უზრუნველვყოთ სათანადო მასალებით და ლიტერატურით, რომლებიც დაეხმარებიან მათ შინაარსიანად წარმართონ საგიტაციო მუშაობა. უნდა გავავრცელოთ საუკეთესო აგიტატორებისა და აგიტპუნქტების გამოცდილება.

გუშინ მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავი, ხვალ საქართველოს მშრომელები იდღესასწაულებენ თავიანთ დიდ ერთგნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 38-ე წლისთავს. უეჭველია, რომ ამ დღეებში წინასაარჩევნო აგიტაციაში თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს ჩვენი შეიარაღებული ძალების მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა, იმ უდიდესმა წარმატებებმა, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

დაე, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების მართალი, დამაჯერებელი სიტყვები აღაფრთოვანებდეს და რაზმავდეს მშრომელებს შვიდწლედის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1959 წლის 23 თებერვალი № 69 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41 წლისთავს.

ეს სახელოვანი წლისთავი აღინიშნება მასების განსაკუთრებული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის რიგგარეშე XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებით, ყრილობისა, რომელიც მოასწავებს ჩვენი ქვეყნის შესვლას კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ყრილობის გადაწყვეტილებანი განსაკუთრებული ძალით ცხადყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს თანამიმდევრულ და განუხრელ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, იმას, რომ სსრ კავშირი უაღრესად დაინტერესებულია თანამედროვეობის ძირეული პრობლემის გადაწყვეტით — საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებითა და განმტკიცებით.

ამავე დროს იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები განაგრძობენ ძველი, გაკოტრებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელებას, არ სურთ შეწყვიტონ „ცივი ომი“, გამალებული შეიარაღება, ქმნიან აგრესიულ ბლოკებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებენ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული არმიისა და ფლოტის მეომრები, რომლებიც ახლა უფრო მჭიდროდ დარაზმული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ვიდრე ოდესმე, დაძაბულად და თავდადებით შრომობენ, რათა აითვისონ პირველხარისხოვანი საბრძოლო ტექნიკა და იარაღი, სრულყონ თავიანთი მხედრული ოსტატობა. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ფიზიკურად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე და მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტი აგრესორების ყოველ ხელყოფას სოციალიზმის დიად მონაპოვრებზე.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო, და ადმირალებო! გილოცავთ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 41 წლისთავს და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს საბრძოლო შრომაში! აამაღლეთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხი, მიაღწიეთ წარჩინებულთა და კლასის სპეციალისტთა და წარჩინებულ ქვეგანაყოფთა რიგების ზრდას. ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ მხედრული დისციპლინა, ისწავლეთ კოშუნისტურად მუშაობა და ცხოვრება!

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 41 წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს — საბჭოთა ხალხის გმირული შრომის ერთგულ გუშაგს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას—კომუნიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და შთამაგონებელს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი **რ. მალინოვსკი.**

საბჭოთა საქართველოს დღე

საშუალო სკოლის ატესტატით ხელში მოვიდა გორის საფეიქრო კომბინატის გამომყვანი ფაბრიკის საწუნდებლო საამქროში დუშეთის რაიონიდან თ. ჩოხელი. იგი მოწაფედ მიამაგრეს გამოცდილ წუნმდებელს მ. ტელუგს. მასწავლებლის ამაგმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლა თ. ჩოხელი დამოუკიდებლად მუშაობს და ყოველდღიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: წუნმდებელი მ. ტელუგი (მარცხნიდან) და თ. ჩოხელი ამოწმებენ ახლად გამოშვებული ქსოვილის ხარისხს.

ფოტო შ. კუკულავასი.

სრული ციკლით

რუსთავი. (საკ. კორ.). მივცეთ სამშობლოს მეტი თუჯი, ფოლადი, მზა პროდუქცია, აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებას! — ასეთი დევიზით შრომობენ ამ დღეებში რუსთავის მეტალურგები.

შეჯამებულია თებერვლის გასული დღეების შედეგები. მეტალურგიული ქარხნის ყველა საამქრო გადამეტებით ასრულებს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალებას, ქარხანა სრული მეტალურგიული ციკლით მუშაობს.

განსაკუთრებული შრომითი აღმავლობაა მარტენის საამქროში. მეფოლადეთა ვალდებულება იყო საქართველოს ს/ბჭოების 38-ე წლისთავისათვის გეგმის გადამეტებით გამოიდნოთ ასობით ტონა ფოლადი. ეს პირობა ვადაზე სამი დღით ადრე იქნა შესრულებული. საამქროში ამ უკანასკნელ ხანს მთელი რიგი ტექნიკური სიახლენი განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო პროდუქციის გამოშვების ზრდას. მაგალითად, ახლა ღუმელის ქვედის ყოველი კვადრატული მეტრიდან ერთი ტონით მეტ ფოლადს ადნობენ, ვიდრე გასულ წელს.

შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობას არ თმობს ფოლადის დნობის ოსტატი გ. ბერეკაშვილი. ოთხასი ტონა ზეგეგმითი ფოლადი — ასეთია მისი მუშაობის მაჩვენებელი თებერვალში.



გუშინ ბათუმში

მანქანათმაშენებელო ქარხანა. კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **გ. დუნდუა** ხელმძღვანელობს, დღიური დავალება 220 პროცენტით გაანაღდა. **მ. ჯიქურაშვილის** მექვაბეთა ბრიგადამ დღეს ოთხი დღით ადრე დაამთავრა ჩაის საღონობი ოთხი აგრეგატის დეტალებისა და კვანძების აწყობა.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. თავი გამოიჩინეს № 1 საამქროს ტექნოლოგიური დანადგარების კოლექტივებმა. დანადგარმა, რომლის ხელმძღვანელია ახალგაზრდა ინჟინერი **ა. ბუსელი,** 23 თებერვალს შეასრულა თვიური გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ასობით ტონამდე ბენზინი. დანადგართა ჯგუფმა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **მ. ფალავა** ხელმძღვანელობს, ამ დღეს დიდი რაოდენობით გამოუშვა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ავტოლი.

გემთსამშენებლო ქარხანა. კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის მებრძოლმა **ხ. ხასანოღლის** ბრიგადამ ამ დღეს დაამთავრა ზეგეგმითი გლისერის აწყობა.

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

სიღნაღი. (საკ. კორ.). პირუტყვისათვის თერმიტი სახის კომბინირებული საკვები მზადდება პიროპროდუქტების წნორის სარეალიზაციო ბაზის საამქროში, რომელიც გასულ წელს ააგეს. კომბინირებული საკვების საამქრო დღეში უშვებს 80-100 ტონა საკვებს ნაცვლად 60 ტონისა. შარშან 18.900 ტონა საკვები უნდა დაემზადებინათ, ფაქტიურად 19.853 ტონა დაამზადეს. ტონა საკვების თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შემცირებულია 34 მანეთით.

წნორში დამზადებული კომბინირებული საკვები გარდა საქართველოს რაიონებისა, დიდი რაოდენობით იგზავნება რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

კომბინირებული საკვების საამქროს კოლექტივმა პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრა წელს შარშანდელთან შედარებით ხუთი ათასი ტონით მეტი საკვები გამოუშვას.

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲜᲔᲤᲬᲝᲜᲘᲡᲔᲑᲘ

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივი ფართოდ არის ჩაბმული შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. განსაკუთრებით კარგ წარმატებებს აღწევენ მძიმეწონოსანი მემანქანეები. მათ თებერვალში გადაიყვანეს 488 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 99.090 ტონა სახალხო სამეურნეო ტვირთი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ

1959 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ 100 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲕᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲖᲔ 180 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲠᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ 40 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის, ისე ქუთაისის რაიონის მშრომელები თავდადებით იბრძვიან მშობლიური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა სასახელოდ განხორციელებისათვის.

უკანასკნელ წლებში რაიონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა. ხუთწლედში 38 პროცენტით გაიზარდა მარცვლეულის საერთო წარმოება. 1958 წელს რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს 1.026 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 315 ტონით მეტი წინა წელთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში რძის საერთო წარმოება გადიდდა სამჯერ.

რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს დიადი შვიდწლედის პირველ წელს ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობისათვის და კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

სიმინდს სამარცვლედ დავთესავთ 4.000 ჰექტარზე მხოლოდ დარაიონებული მაღალხარისხოვანი ჯიშის თესლით. ნათესებს გავთოხნით 2-3-ჯერ. სიმინდის 1.000 ჰექტარ ნათესში შევიტანთ მინერალურ და ორგანულ სასუქებს. წელს მივაღწევთ იმას, რომ საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 17 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 12 ცენტნერისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ბოსტნეული კულტურების მოვლა-დამუშავებას. ამ გზაფხულზე დავთესავთ 1.100 ჰექტარ ბოსტნეულს, ფართოდ დავნერგავთ ბოსტნეულის კვადრატულ და კვადრატულ-ბუდობრივი რგვის პროგრესულ მეთოდს. საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 125 ცენტნერ პამიდორს, 90 ცენტნერ კომბოსტოს.

სანიმუშოდ მოვუვლით ჩაის პლანტაციებს. ნიადაგის გადაბარვას სასუქების შეტანით დავამთავრებთ 10 მარტამდე, ჩაის ბუჩქების გასხვლას — 20 მარტამდე. ვეგეტაციის პერიოდში ჩაის ბუჩქებს გავთოხნით ოთხჯერ. წელს მოვკრეფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 1.100 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.050 ტონისა. წელს გავაშენებთ 10 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, მოვაწყობთ სანერგეებს მეჩხერი პლანტაციის გამოსარგავად.

აგროტექნიკურ ვადებში დავამუშავებთ ვენახებსა და ხეხილის ბაღებს. საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 50 ცენტნერ ყურძენს, ანუ 5 ცენტნერით მეტს გეგმასთან შედარებით. გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მოვიყვანთ 30 ცენტნერ ხილს.

მკვეთრად გავაუმჯობესებთ საზოგადოებრივი პირუტყვის მოვლა-პატრონობას. თვითეული ძროხის საშუალო წველადობას ავიყვანთ 1.360 კილოგრამამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 180 ცენტნერ რძეს, 40 ცენტნერ ხორცს. ყოველ დედაღორზე მივიღებთ 14 გოჭს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12-ისა. წელს გავასუქებთ 1.000 ღორს და სახელმწიფოს მივყიდით 800 ღორს, თვითეულს 80 კილოგრამი ცოცხალი წონით. ყოველ 100 ძროხაზე გავზრდით 90 ხბოს, წელს სამი თვის ასაკამდე გავასუქებთ 28.400 ფრთა ფრინველს.

მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის შევქმნით მტკიცე საკვებ ბაზას. თვითეულ ძროხაზე დავამზადებთ 10-12 ტონა სილოსს, ფართოდ დავნერგავთ მიწისზედა დასილოსების პროგრესულ წესს; დავთესავთ 50 ჰექტარ მრავალწლიან ბალახებს, ამდენსავე საკვებ ძირხვენებსა და საკვებ ბაღჩეულს, 250 ჰექტარ ერთწლიან ბალახებს; 300 ჰექტარ ნაწვერალზე დავთესავთ სიმინდსა და სოიას. ორი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებში განვახორციელებთ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას.

ვადაზე ადრე შევასრულებთ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის და სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიურ დავალებებს. წელს ქვეყანას მივცემთ 1.020 ცენტნერ ხარისხოვან აბრეშუმის პარკს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.010 ცენტნერისა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწევთან სამტრედიის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘᲡᲐ.

ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

უკანასკნელ წლებში დიდად იცვალა სახე ვაზისუბანმა, რომელიც ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია გურჯაანის რაიონში. აქ რამდენიმე წლის წინათ 5 კოლმეურნეობა ერთ მძლავრ სასოფლო-სამეურნეო არტელად გაერთიანდა და ახლა იგი მილიონერ კოლმეურნეობათა რიგშია.

საკოლმეურნეო წარმოების გადიდებამ სოფლის მშრომელებს საშუალება მისცა გაეზარდათ საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მშენებლობათა ხარაჩოების რიცხვი. უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფელში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა მეძროხეობის, მეღორეობის, მეფრინველეობის ტიპური ბინები, კულტურის სახლი 600 მაყურებლისათვის, სასადილო, 2 სახერხი ქარხანა, სასოფლო საბჭოს შენობა, ფოსტა, სატელეფონო კომუტატორი, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობას აკავშირებს მეცხოველეობის ფერმებთან. 40-ზე მეტი კოლმეურნის ოჯახში გაყვანილია ტელეფონის ხაზი. სოფელში გაიყვანეს ახალი სასმელი წყალი, ააგეს 8 ახალი კაპიტალური ბოგირი.

ვაზისუბანში მუშაობს 2 საშუალო სკოლა, საექიმო პუნქტი, აფთიაქი, ქართული პურის საცხობი, 3 ბიბლიოთეკა, 7 მაღაზია და სავაჭრო ფარდული. სოფელში 2,5 ჰექტარი ფართობის დეკორაციული ბაღი, სტაციონარული კინოდანადგარი და სხვ.

სოფლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს შვიდწლედის პირველი წლისათვის გააშენონ კულტურის პარკი, სადაც დაირგვება 300 ძირი წაბლის, ვაშლის, ვერხვის და სხვა ფოთლოვან მცენარეთა ნერგები. დაიწყო და უახლოეს ხანში დამთავრდება ასფალტის სახარში ქარხნის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს მინდვრისა და საუბნო გზების მოასფალტებას. ნავარაუდევია წელს დამთავრდეს 2.000 ტონის ტევადობის მარცვლეულის საწყობის, სამრეწველო საქონლის მაღაზიისა და აბანოს მშენებლობანი.

ს. შაქარაშვილი,
კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის „კომუნიზმის გზით“ რედაქტორი.

ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

კვირა დღე 22 თებერვალი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სელვინ ლოიდმა გაატარეს მთავრობის აგარაკზე მოსკოვთან. ისინი იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი მეუღლის სტუმრები.

მთავრობათა მეთაურებს ჰქონდათ ორი ხანგრძლივი არაოფიციალური საუბარი — ერთი საუზმემდე, ხოლო მეორე საუზმის შემდეგ.

საუბრებში მონაწილეობას იღებდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი; ინგლისის მხრივ ჰ. მაკმილანთან ერთად — საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ლოიდი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი.

მრჩევლები საუბრებს არ დასწრებიან.

საუბრებში შეეხნენ საკითხებს, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ. (საკდესი).

ᲰᲐᲠᲝᲚᲓ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲛᲐ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲐ Ш. Რ. ᲠᲐᲨᲘᲓᲝᲕᲡ

23 თებერვალს დილით მოსკოვში ოფიციალური საპასუხო ვიზიტით მყოფმა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა კრემლში ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს შ. რ. რაშიდოვს.

ბ-ნ ჰ. მაკმილანს ახლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი და დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში სერი პატრიკ რაილი.

ვიზიტის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. ლოგინოვი. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

23 თებერვალს ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით თვითმფრინავით „ტუ-104“ მოსკოვიდან დელს ოფიციალური სახელმწიფო ვიზიტით გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ა. ა. ანდრეევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მუხიტდინოვი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუტავა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის წევრი ა. გ. შერემეტიევი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ შ. რ. რაშიდოვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დ. ს. პოლიანსკიმ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ს. მ. ბუდიონიმ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა ა. პ. ვოლკოვმა და ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, პრესის წარმომადგენლებმა.

მთავრობის დელეგაცია გააცილა აგრეთვე სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ვ. კ. ახუჯამ.

* * *

სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია იმავე დღეს ჩავიდა ტაშკენტს, საიდანაც განაგრძობს გზას. (საკდესი).

დეპუტატობის კანდიდატები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

თბილისის № 5 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე გოგლაძე.**

თბილისის — ლოტკინის № 8 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მოწინავე მუშა **ელენე დავითის ასული კაზალიკაშვილი.**

ქვემო ბოლნისის № 129 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში **ილია დავითის-ძე ართმელაძე.**

წნორის № 162 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომუნისტური პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ზაქარია მოსეს-ძე ბიძინაშვილი.**

ღრმაღელეს № 2 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ნოვატორი ზეინკალი **ამირან დიმიტრის-ძე გელაშვილი.**

თბილისის — საქარხნო № 1 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორი **ნიკოლოზ სვევრიანეს-ძე კიზვადე.**

ქვემო № 128 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **შოთა პლატონის-ძე კუტიძე.**

თბილისის — რკინიგზის № 3 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი **გაბრიელ ევგენის-ძე მაცაბერიძე.**

თბილისის — დელისის № 48 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მთავართბილისმშენის სანტექმონტაჟის სამმართველოს ზეინკალი **კირილე მიტროფანეს-ძე კოროლოვი.**

ყაზბეგის № 141 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი **არჩილ ივანეს-ძე შადური.**

თბილისის — საბურთალოს № 46 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ელეფთერ ლუარსაბის-ძე ანდრონიკაშვილი.**

მარნეულის № 130 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **შოთა პლატონის-ძე კუტიძე.**

თბილისის — რკინიგზის № 3 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ლენინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორი **გაბრიელ ევგენის-ძე მაცაბერიძე.**

ნინოწმინდის № 134 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი **მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე.**

კიზილაგანის № 135 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ბორჩალოს რაიონის სოფელ დიდი მოღანლოს ყაბანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **კაჰრამან მუსა ოღლი შაბანოვი.**

აბაშის № 268 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს აბაშის რაიონის სოფელ სუფრისის კოლმეურნეობის წევრი **ივანე ალექსანდრეს-ძე ბოშტარია.**

მარნეულის № 269 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობის წევრი **ქეთევან ივანეს ასული მიქაძე.**

ონტოფოის № 270 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარდეს საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **მამია ნესტორის-ძე ბოკერია.**

თბილისის — ყოფილი № 4 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვარლამ სოსრამის-ძე ჯანჯღავა.**

თბილისის — მახათის № 56 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ბორჩალოს რაიონის სოფელ ლორეს ალექსანდრეს-ძე ბალაბანოვი.

ბოლნისის — კომინტერნის № 47 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ბოლნისის რაიონის სოფელ ქოლობნის კოლმეურნეობის წევრი **ალექსანდრეს-ძე ბოლოკაძე.**

ბოლნისის — ლენინის № 37 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ბამბის სართავი ფაბრიკის ოსტატი **მირი ნოეს ასული გოგორიშვილი.**

ბოლნისის — პუშკინის № 39 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარდეს ბოლნისის სამეურნეო-საკულტურო ტექნიკუმის დირექტორი **ტატიანა ივანეს ასული ალექსაშვილი.**

ბოლნისის — სამრეწველო № 34 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომპარტიის ბოლნისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ვიქტორია მოსეს ასული ხირაძე.**

* * *

საოლქო საარჩევნო კომისიებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

ბოლნისის — სტალინის № 13 საარჩევნო ოლქში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მთავარი სატრანსპორტო სამმართველოს ზეინკალი **ვლადიმერ თევდორეს-ძე სუბანაშვილი.**

ბოლნისის — ტელმანის № 12 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **იოსებ მოსეს-ძე ბუაჩიძე.**

ბოლნისის — მარჯანიშვილის № 17 საარჩევნო ოლქში — თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვასილ დავითის-ძე გოძიაშვილი.**

ბოლნისის — ქუთაისის № 11 საარჩევნო ოლქში — თბილისის მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბარბალე ნიკოლოზის ასული გრიგალაშვილი.**

ბოლნისის — 26 კომისრის № 51 საარჩევნო ოლქში — საქართველოს ალკოცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ ამბროსის-ძე შევარდნაძე.**

ბოლნისის — 300 არაგველის № 54 საარჩევნო ოლქში — თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის დამოუკიდებელი **ლუიზა ივანეს ასული დავითაძე.**

ბოლნისის — ფიოლეტოვის № 55 საარჩევნო ოლქში — თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე პროფესორი **დარია ივანეს ასული ბერეფყინაი.**

ბოლნისის — ჯაფარიძის № 53 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი **არტავაზდ გიორგის-ძე ბუდუმიანი.**

ბოლნისის — ისნის № 58 საარჩევნო ოლქში — თბილისის მაკარონის ფაბრიკის მეწნეხი **ალექსანდრა თევდორეს ასული კენჭაძე.**

ბოლნისის — ნასაკირალის № 50 საარჩევნო ოლქში — კომპოზიტორი, თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძე.**

ბოლნისის — შაუმიანის № 52 საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **სევერიან კაპიტონის-ძე ჩხარტიშვილი.**

ბოლნისის — 5 დეკემბრის № 59 საარჩევნო ოლქში — თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის ზეინკალი **მიხეილ ივანეს-ძე გრიგორიანი.**

ბოლნისის — ნავთლუღის № 60 საარჩევნო ოლქში — **ნიკოლოზ ივანეს-ძე როდომანჩეკო.**

(საქდესი).

ზეინკალი შალვა ომანიძე

შალვა ომანიძე მოწინავე ზეინკალი რომ არის, ეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში ადრევე ყველასათვის იყო ცნობილი. იგი დღიურ დავალებას ყოველთვის 250-300 პროცენტით ასრულებს. თვითონ შალვას როგორც კრებებზე, ისე პირად საუბარში არაერთხელ მოუსმენია, მეგობრები და ქარხნის ხელმძღვანელები რომ აქებდნენ.

ამას წინათ მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრებაზე თვით ქარხნის დირექტორმა ლ. აივაზოვმა სიტყვაში დაახასიათა, შეაქო მისი შრომითი საქმიანობა და შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა. ამას კი აღარ მოელოდა შალვა ომანიძე.

როგორც ყოველთვის, ადამიანის წარმატებათა შესახებ ცნობა სწრაფად მოედება ხოლმე საწარმოს, შემდეგ ქალაქსა და ქვეყანას, შალვა ომანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების ცნობა უმალვე გავრცელდა თბილისში. მისი შრომითი საქმიანობით ყველა დაინტერესდა...

— დღეს ჩვენთან რამდენიმე გაზეთის რედაქციიდან იყვნენ. ყველას ჩვენი შალვას წარმატებები აინტერესებს, — ამბობს ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ს. გელაშვილი, — მისი მოკლე ავტობიოგრაფია რამდენიმე ცალად გადავბეჭდეთ. ინებეთ, აქ ყველაფერი სწერია, დანარჩენს კი თვითონ შალვა გეტყვით.

შალვა ომანიძის მოკლე ბიოგრაფია ასეთია: იგი 1907 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში, მუშის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ სწავლა გაგრძლო ამავე ქარხანასთან არსებულ საფაბრიკო - საქარხნო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და იქვე დაიწყო მუშაობა ზეინკლად. 1931 წელს წარჩოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრა ოთხწლიანი მუშათა ფაკულტეტი. შემდეგ საბჭოთა არმიაში იყო. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ მშობლიურ ქარხანას დაუბრუნდა, სადაც დღემდე მუშაობს საიარაღო - საექსპერიმენტო საამქროში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და სამი მედლით. აქვს ბედნიერი ოჯახი. ეს არის და ეს.

ეს რიგითი საბჭოთა ადამიანის ჩვეულებრივი ბიოგრაფიაა, იტყვიან. დიახ, ასეა, მაგრამ ზეინკალი შ. ომანიძე თავისი შრომითი მაჩვენებლებით მაინც განსხვავდება, ჯერერთი იმით, რომ იგი ახლა უკვე შვიდწლედის მეექვსე წლის — 1964 წლის ანგარიშში მუშაობს. განა ეს ცოტაა?

ან მისი ვალდებულება გასინჯეთ. შვიდწლიან გეგმას მისი ბრიგადა წელს შეასრულებს. არც ეს არის ურიგო. სიტყვას არ გატეხენ. ამის თავდებია მისი ბრიგადის წევრთა ს. აკოლაშვილის, ა. თულიანისა და ვ. ბაბინის შრომითი საქმიანობა.

შემდეგ რას დაუმატებთ თქვენს ბიოგრაფიულ ცნობებს, ამხანაგო შალვა?

— რა უნდა დავუმატო, ვმუშაობ, მაქსიმალურად ვიყენებ დროს, — ამბობს იგი, — ნათქვამია აჩქარება არ ივარგებსო, მაგრამ აჩქარებაც არის და აჩქარებაც, გააჩნია სად და როგორ. დავალებას რომ მივიღებთ, გული არ მითმენს, ვადაზე ადრე რომ არ შევასრულო. ასეა, წლების მანძილზე გამომომუშავდა ეს ხასიათი.

— ახლა რაზე მუშაობთ?

— როგორც ცნობილია, — ამბობს შალვა, — ჩვენი ქარხანა ძირითადად კვების მრეწველობისთვის ამზადებს მანქანადანადგარებს. ჩვენი საამქრო საიარაღო - საექსპერიმენტოა. ახლადგამოგონებულ მანქანებს პირველად ჩვენ ვაწყობთ და ვუდგამთ „სულს“. შარშან ვადაზე დიდი ხნით ადრე ავაწყეთ შამპანური ღვინის ჩამოსასხმელი ავტომატური დანადგარი. ამ დანადგარმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიპლომი მიიღო. ამჟამად ჩემი ბრიგადა ღვინის ჩამომსხმელი ავტომატური ხაზის პირველი საცდელი ეგზემპლარის აწყობაზე მუშაობს. ეს დანადგარი რამდენიმე ათეულ მუშას შეუმსუბუქებს შრომას და ღვინის ქარხნებს დაუზოგავს დიდ თანხას. ამ სიპატიო დავალებასაც ვადაზე ადრე შევასრულებთ, რითაც ჩვენს წვლილს შევიტანთ პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში.

წლობით შეძენილ მდიდარ გამოცდილებას ზეინკალი შ. ომანიძე ხალისით უზიარებს ახალგაზრდებს. მის მიერ აღზრდილი მრავალი ახალგაზრდა ახლა მის გვერდით მუშაობს და როდი ჩამოუვარდება მასწავლებელს. ახლაც ჰყავს თავის ბრიგადაში მოწაფე ვ. ბაბინი. ამ ახალგაზრდამ გამოცდილი მასწავლებლისაგან ბევრი რამ ისწავლა და სულ მალე დამოუკიდებლად იმუშავებს.

შრომა ჩვენს ქვეყანაში ღირსებისა და დიდების საქმეა. შრომა დაუფასდა შ. ომანიძეს. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ვ. ბოზალიშვილი.

* * *

სურათზე: შ. ომანიძე ღვინის ჩამოსასხმელი აპარატის აწყობის დროს.
ფოტო ი. დვალიხა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ხალხის რჩეული

საქართველოს მრეწველობის პროდუქცია უცხოეთში

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1958 წლის გეგმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად სახელმწიფოს მისცა რამდენიმე მილიონამ მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ჩვენმა საწარმოებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს საექსპორტო და კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმების შესრულებაშიც.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გააქვს სახარატო და სპეციალური ჩარხები, ჩაისა და ღვინის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა, ავტომობილის სათადარიგო ნაწილები, სამთო-საშახტო მოწყობილობა, ბიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, საბურღი მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები, ელექტროდანადგარის ნაკეთობანი, მიწისმწოვი დანადგარები, ლითონის პროდუქცია, ფერომანგანუმი, ცემენტი, ლიტოპონი, სამედიცინო პრეპარატები მარგანეცის მადანი, ნავთობპროდუქტები, ჩაი, თამბაქო, მინერალური წყალი, ღვინო, კონიაკი, შამპანური და სხვ.

შარშან საექსპორტო პროდუქციას იძლეოდა 24 საწარმო, მათ შორის: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხანა, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებელო ქარხანა, ბათუმის მანქანათსამშენებელო ქარხანა, ქუთაისის სათბომობილო ქარხანა, ქუთაისის მანქანათსამშენებელო ქარხანა „მაღაროელი“, თბილისის ბიდრომეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა ქარხანა, თბილისის ნავთობ-საბურღი მანქანების მექანიკური ქარხანა, პლასტმასების, მიწისმწოვი დანადგარების ქარხნები, ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული, ზესტაფონის ფერროშენადნობთა, კასპის ცემენტის, ქუთაისის ლიტოპონის, ბათუმის კოფეინისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, თბილისის ფარმაკოქიმიური ქარხანა და ორგანული პრეპარატების ქარხანა, საქართველოს ჩაის ტრესტი და სხვ.

შარშან ჩვენი პროდუქცია მივაწოდეთ მსოფლიოს 27 ქვეყანას, მათ შორის: პოლონეთს, ბულგარეთს, ჩეხოსლოვაკიას, ალბანეთს, უნგრეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ჩინეთს, კორეას, რუმინეთს, ეგვიპტეს, ავღანეთს, ინდოეთს, ვიეტნამს, ირანს, თურქეთს, იემენს, მექსიკას, ბრაზილიას, ავსტრიას, მონღოლეთს, სირიას, სიერა-ლეონეს, ცეილონს, პაკისტანს, ინგლისს, ბელგიასა და იუგოსლავიას.

წელს დასახული ექსპორტის დიდი ზრდა. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხანა მიაწვდის 2,5-ჯერ მეტ ჩარხებს, პირველად იქნება გატანილი თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის მიერ წარმოებული პრეციზიული, მრგვალსახეხი ჩარხები. სამჯერ და უფრო მეტად გადიდდება კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობის გატანა. აგრეთვე დასახულია საექსპორტო პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სხვა დარგებშიც.

რ. გერგაია,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საგარეო ურთიერთობისა და კოოპერირების განყოფილების უფროსი.

თეორიული კონფერენცია

ჭიათურა. (საკ. კორ.). პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალების განხილვას.

კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანი ა. მეცხოვრიშვილი, საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი შ. ჩაჩანიძე და ი. ბ. სტალინის ჭიათურის სახლ-მუზეუმის დირექტორი ა. კავთელაძე. მათი მოხსენებების თემები იყო: „სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კონკრეტული გზების შემუშავება პარტიის მიერ მარქსისტულ - ლენინურ თეორიაში შეტანილი უდიდესი განძია“, „შვიდწლიანი გეგმა და სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა“, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საერთაშორისო მნიშვნელობა“.

კონფერენციაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს ეკონომისტმა ვ. ბრეგვაძემ, მარგანეცრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა, ინჟინერმა გ. წიწილაშვილმა, ისტორიის მასწავლებლებმა ა. ტყემალაძემ და ი. კაპანაძემ, სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარმა აგრონომმა გ. ბიწაძემ. მარგანეცრესტის მაღარომშენის კომკავშირული კომიტეტის მდივანმა ბ. გოფრინდაშვილმა და სხვებმა.

თეორიულმა კონფერენციამ მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩაიარა.

ქართველი ხალხის დღესასწაული

ქართველი ხალხი უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ხვდება თავის ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს — 25 თებერვალს.

ამ ენთუზიაზმს. ამ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას ასაკეცებს ის სიხარული, რომელიც ქართველ ხალხში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხში, გამოიწვიეს სკკპ კრებაზე XXI ყრილობის მუშაობამ და მის მიერ მიღებულმა ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

ოერომეტი დღის მანძილზე — 27 ივნვრიდან 5 თებერვლამდე — საბჭოთა კავშირის თვითეული მშრომელის. მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვზე, სადაც მიმდინარეობდა სკკპ XXI ისტორიული ყრილობა, რომელმაც მოისმინა და მოიწონა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიად პროგრამას, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებს, რომელთა მიღმაც გარკვევით მოჩანს კომუნიზმის დიდებული შენობის კონტურები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ — თითქოსდა ლაპარაკია მშრალ ციფრებზე, მაგრამ მათ იქით ნათლად ისახება 65-70 მილიონი ტონა თუჯი, 86-91 მილიონი ტონა ფოლადი, 150-160 მილიონი ტონა რკინის მადანი, 230-240 მილიონი ტონა ნავთობი, 600-612 მილიონი ტონა ქვანახშირი, 500-520 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მილიარდობით მეტრი ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ბევრი ფეხსაცმელი და მზა ტანსაცმელი, ავეჯი და ტრიკოტაჟი, ასეულ ათასობით ტონა ხორცი და რძე, კარაქი და ძმიმე, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სხვა პროდუქცია, რომელიც გამომუშავებული იქნება შვიდწლედის ბოლოსათვის.

ყრილობის გადაწყვეტილებით შვიდწლედის ბოლოსათვის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა უნდა გაზარდოს 1.7-ჯერ. ეს მოგვცემს 10-11 მილიარდ ფუთ მარცვლეულს, 76-84 მილიონ ტონა შაქრის ჭარხალს, 5,7-6,1 მილიონ ტონა ნედლ ბამბას, 147 მილიონ ტონა კარტოფილს და სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქციას.

საკონტროლო ციფრებით კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა გათვალისწინებულია 1.940-1.970 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 1,8-ჯერ მეტია წინა შვიდწლედთან შედარებით და თითქმის აღემატება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მთელ მოცულობას. ამ ციფრებს იქით გარკვევით მოჩანან ახალი ძლავრი მეტალურგიული კომბინატები, მანქანათსამშენებლო და ჩარხსამშენებლო, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი, საქსოვი და სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ავეჯის, საკონსერვო და სხვა ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და საბადოები, თბოელექტროსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები, ახალი საცხოვრებელი სახლები.

მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით მიიწონა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი და შეუდგა მათ შესრულებას. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხიდან განუწყვეტლივ მოდის ცნობები, რომ მუშები და კოლმეურნეები, ბრიგადები, მთელი რიგი ქარხნები და ფაბრიკები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კისრულობენ ვალდებულებებს ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, ექვს და ხუთ წელიწადში განახორციელონ შვიდწლედი.

ჩვენმა მძლავრმა სამშობლომ — საბჭოთა კავშირმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა, ააშენა სოციალიზმი და მტკიცედ ადგას კომუნიზმისაკენ მიმავალ ნათელ გზას. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ამ გამარჯვებათა მოპოვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმაც.

ქართველ ხალხს, რომელმაც თავისი მაღალი კულტურის დამადასტურებელი მრავალი დოკუმენტი და ძეგლი შემოინახა, თავისი არსებობის მანძილზე უდიდესი ტანჯვა აქვს გამოვლილი. მრავალი საუკუნის განმავლობაში ის შემოქმედებითი შრომის ძაგიერ იძულებული იყო ცალ ხელში თოხი და გუთანი სჭეროდა, ხოლო მეორეში თოფი და ხმალი, რათა როგორმე თავი გამოეკვება და უკუეგდო ყოველი მხრიდან შემოსეული მრავალრიცხოვანი მტრები, რომლებიც მის დამონებას ცდილობდნენ.

ქართველმა ხალხმა თავისი ვაჟკაცობით, დამოუკიდებლობისადმი სწრაფვით, თავისუფლების სიყვარულით შეძლო გამკლავებოდა მტერს და თავისი სახე, თავისი ეროვნება, თავისი ძველი კულტურა დაეცვა. თავისი არსებობის კრიზისულ მომენტში მან დახმარება სთხოვა თავის მძლავრ მეზობელს, დიდ რუსეთს, რომელმაც დახმარების ხელი გამოუწოდა, შეიერთა და მოსპობას გადაარჩინა.

ქართველმა ხალხმა თავისი უფროსი ძმის, დიდი რუსი ხალხის დახმარებით შეძლო თავისი საშინელი მტრისა და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის მტრის — რუსეთის ცარიზმის თავიდან მოშორება, ხოლო შემდეგ კი უფრო საზიზღარი მტრების — მენშევიკების გაძევება და 1921 წლის 25 თებერვალს თავისი სამშობლოს — საქართველოს ცაზე კომუნიზმის მარადუქრობი ვარსკვლავი აანთო.

ამ დღიდან მოკიდებული წარსულში მრავალტანჯულმა და განწამებმა საქართველომ წლების მომატებასთან ერთად გაახალგაზრდავება იწყო. ახლა საბჭოთა საქართველო — 38 წლის ვაჟკაცი — მზად არის მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმაროს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, პარტიის მიერ დასახული კომუნიზმის აშენების დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას.

საქართველო, სადაც წინათ ლიმონისაგან მხოლოდ კუსტარულად ამზადებდნენ წვრილ საოჯახო საგნებს, ახლა იქცა მძლავრი მეტალურგიის ქვეყნად, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე ლიმონის გამოდნობით უსწრებს ისეთ მოწინავე ქვეყნებს, როგორიც არიან იაპონია, იტალია და სხვები. ჩვენი მეტლურგიული მრეწველობა უშვებს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მთლიან გლინულ მილებს, ფეროშენადნობებსა და სხვა პროდუქციას.

საქართველოში, სადაც წინათ მხოლოდ ურმებს აკეთებდნენ, ახლა მძლავრ სამაგისტრალო ელმავლებს, ავტომობილებს, ტრაქტორებსა და სხვა სახეობათა თანამედროვე ტრანსპორტს უშვებენ.

თუ წინათ საქართველოში ასიოდე სამჭედლო იყო, ახლა აქ არის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი მანქანათსამშენებლო, ჩარხსამშენებლო, ნავთობგადამამუშავებელი, აზოტოვანი სასუქების, ცემენტის, ელექტროტექნიკური, ავტოსარემონტო, ლიტოპონისა და მრავალი სხვა ქარხანა, რომელთა შედარებაც კი არ შეიძლება წარსულთან.

ამჟამად მთელი საქართველო დაფარულია მძლავრი სახელმწიფო, აგრეთვე საკოლმეურნეო და რაიონული ჰიდროელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების ქსელით, რომლებიც ყოველდღიურად თითქმის იმდენ ელექტროენერგიას იძლევიან, რამდენსაც საქართველოს ელექტროსადგურები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე იძლეოდნენ.

სოციალისტური მშენებლობის წლებში მძლავრად განვითარდა სამთო მრეწველობა — ქვანახშირის ამოღება, განსაკუთრებით მარგანეცის ამოღება, ნავთობის მოპოვება და გადამუშავება და სხვ.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების დონე 1913 წელთან შედარებით 35-ჯერ გაიზარდა.

მძლავრად განვითარდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. საკმარისია ითქვას, რომ შარშან ქართველმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 133 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ყურძენი ჩაბარებულია 152 ათასი ტონა, ხილი — 87 ათასი ტონა, ხორცი — 41 ათასი ტონა, რძე — 107 ათასი ტონა.

დიდ განვითარებას მიაღწია ქართველი ხალხის ფორმით ეროვნულმა და შინაარსით სოციალისტურმა კულტურამ. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ წარმატებებს მოწმობს ის მაღალი შეფასება, რომელიც მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატორებმა და ხელოვნების წარმომადგენლებმა შარშან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე მოსკოვში.

ქართული კულტურის ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ რესპუბლიკაში არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 19 უმაღლესი სასწავლებელი, 150-ზე მეტი სამეც

კედლებზე შერჩენილი სიცოცხლე

ვანის (სხვანაირად ვაჰანის) ქვაბთა მონასტერი, რომლისგანაც ამჯერად მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, მდებარეობს ვარძიის ცოტა ქვემოთ, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. გამოქვაბულთა ზემო სართულში მოთავსებულია ჯვრის ტიპის პატარა გუმბათიანი ეკლესია, რომლის კედლებზე მოიპოვება XV — XVI საუკუნეთა „მხედრული“ წარწერები. მათი შინაარსიდან ჩანს, რომ წარწერები: შესრულებულია ქალების, მონაზვნების მიერ. ეს წარწერები 1936 წელს გაკრით მოიხსენია კოლა ესმაშვილმა. 1954 წელს 9 წარწერა კალკების ფოტოსურათებითურთ გამოაქვეყნა ვ. ცისკარიშვილმა, რომელმაც ვერ შეამჩნია, რომ მის მიერ შესწავლილი წარწერები ლექსებს შეიცავს. ამ ხაზით მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ ერთ წარწერას, რომელშიც დამახინჯებული სახით მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი.

ამ წარწერებით დაინტერესდა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი შ. ონიანი. მან ვ. ცისკარიშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში მიაკვლია ლექსებს. ამან, ბუნებრივია, მკვლევარს ავარაუდებინა ლექსების არსებობა სხვა წარწერებშიც, რომელნიც მაშინ ამოკითხული არ იყო. 1958 წელს შ. ონიანმა, ჩვენი რჩევით ადგილზე შეისწავლა სხვა წარწერებიც ამ მონასტრისა, რომლებშიც მან აღმოაჩინა დამატებით კიდევ ახალი ლექსები. ამის შესახებ ონიანმა ორჯერ წაიკითხა მოხსენება ინსტიტუტში. მოხსენებებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

✦ ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზია ✦

შ. ონიანის გამოკვლევით, ვანის ქვაბთა მონასტრის ჯერჯერობით გაშიფრული წარწერები შეიცავს 10 ლექსს. ამათგან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ორი სტროფი „ვეფხისტყაოსნისა“ და სერაპიონ საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანის“ ერთი სტროფი.

წარწერებში მოყვანილი ლექსები მონასტრის კედელზე მიუწერიათ მოხაზონ ქალებს. ლექსები სხვადასხვა საუკუნეს განეკუთვნებიან. ძირითადად ისინი XV — XVI საუკუნეებში არიან შესრულებულნი. მათი უმეტესობა სატრფიალო-სამინჯურო შინაარსისაა.

ახლად მოპოვებული მასალების მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ცხადი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიდან ჩანს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში არსებობდა ლირიკული ჟანრის მოკლე ფრივოლური ლექსებიც. მისი ნიმუშები დღემდე მოგვეპოვებოდა მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მაშასადამე თარიღი თითქმის ორი საუკუნითაა წინ გადაწეული.

ამ წარწერებმა ძველი ქართული პოეზია გაამდიდრეს სამი ამდენ ხანს უცნობი პოეტი ქალის სახელით; ესენი არიან: **გულქან შალიკაშვილი, ანა რჩეულიშვილი და თუმიან გორჯიშვილი.** მათ უწერიათ მეტად მგრძნობიარე და დამახასიათებელი ლექსები.

ამ წარწერებში შემონახულმა ლექსებმა ჩვენ ნათლივ დაგვანახეს, როგორ აფართოებს თავის გავლენის სფეროს საერო მხატვრული პოეზია და როგორ ასუსტებს ის საეკლესიო მწერლობის ბატონობას. თუ მონაზონი ქალებიც სატრფიალო - სამიჯნურო პოეზიას ეტანებიან და მას თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ, რაღა უნდა ვთქვათ საერო პირების შესახებ. აქ პოულობს გამართლებას არჩილ მეფის ცნობილი საყვედური.

დასასრულ, ამ წარწერებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფოლკლორის ისტორიისათვისაც: მათ შემოუნახავთ XVI საუკუნეში ჩაწერილი ორი ხალხური ლექსი; აქამდე კი ფოლკლორული ჩანაწერები გვქონდა მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ვანის ქვაბთა ეკლესიის წარწერებზე მუშაობა შ. ონიანს მთლიანად არ დაუმთავრებია. კედელზე, ამოკითხულთ გარდა, კიდევ არის მრავალი წარწერა, რომელნიც ჯუჯყით არიან დაფარული. საჭიროა მათი ქიმიური გასუფთავება, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა წარწერის წაკითხვა და მეცნიერული გამოყენება.

კ. კეკელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ახალგაზრდობის შეჯიბრება

ზუგდიდი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამას წინათ მახარაძის **რაიონის** კოლმეურნე **ახალგაზრდებმა** პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას მიუძღვნეს ავტომოტოგადარბენა მახარაძე — სამტრედია — ზუგდიდი. მახარაძელ მეგობრებს ზუგდიდელმა მასპინძლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

იმავე დღეს ზუგდიდის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ორი რაიონის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეკრება. ამ შეკრებაზე გაფორმდა რაიონის ახალგაზრდებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება მიმდინარე წლისათვის.

მახარაძელმა კოლმეურნე ახალგაზრდებმა იკისრეს: შვიდწლედის პირველ წელს სეზონში მოკრიფონ და მრეწველობას ჩაბარონ 12 მილიონ 500 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. დაამუშაონ სიმინდის ნათესები. კომკავშირელები ჩაებმებიან ბრძოლაში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის. წელს კომკავშირულ უყლაბაში შეიტანენ 2.500 ათას მანეთს, ხოლო სასკოლო უყლაბაში 850 ათას მანეთს. მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა სახის მშენებლობებში, გააშენებენ ტყეპარკს, დარგავენ და გაახარებენ 50.500 ძირ სხვადასხვა ჯიშის ხეს.

ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა თავიანთ მხრივ იკისრეს: წელს ახალგაზრდობის ძალებით მოკრიფონ 9 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 30 ჰექტარზე აღადგენენ მეჩხერ ჩაის. ახალგაზრდობა დათესავს და დაამუშავებს 1.000 ჰექტარ სიმინდს. ახალგაზრდა კოლმეურნე მწველავებზე მიმაგრებული თვითეული საფურაგე ძროხიდან მიიღებენ 1.500-1.800 ლიტრ რძეს. სოლოსის დამზადების რაიონულ გეგმას შეასრულებენ ახალგაზრდული ძალებით, გააშენებენ დაფნის, ციტრუსების პლანტაციებს, ვენახსა და ხეხილის ბაღს და სხვ.

ახალგაზრდების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.

ორი სამყარო — ორი ცხოვრება

გაზეთების ფურცლებზე

მკითხველო, გადაშალე გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ 21 თებერვლის ნომერი!

გაზეთმა გაშლილი გვერდები მიუძღვნა მასალებს, რომლებიც შეანაშნავად მოგვითხრობენ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები.

„ოქტომბრის მზის ქვეშ გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველო“ — ასეთი საერთო ჭუდი აქვს გვერდს, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა საქართველოს მიღწევებზე. ქართულ მიწაზე მძლავრად იგრძნობა საქართველოს ინდუსტრიული მაჯისცემა. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა მნიშვნელოვნად უსწრებს თურქეთს მეტალურგიულ მრეწველობაში. ერთ სულ მოსახლეზე თუჯის, ფეროშენადნობის, მილებისა და ნაგლინის გამოშვების მხრივ საქართველოს რესპუბლიკამ უკან მოიტოვა ისეთი კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიც არის იტალია, ავსტრია, შვეიცია...

უფრო წარმტაცი, უფრო ბრწყინვალეა ჩვენი პერსპექტივები შვიდწლედში.

ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივნის ირაკლი აბაშიძის წერილი „ძმურ ოჯახში“.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე თბილისის საგალანტერიო ფაბრიკის მუშის, პარტიის XXI ყრილობის დელეგატის მერი არველაძის ნაამბობი: „მე ნათლად ვხედავ ხვალინდელ დღეს“, ტაქსის ძველი შოფრის პავლე სხირტლაძის წერილი „ძველი შოფრის თვალით“. ამ წერილებში რიგითი საბჭოთა ადამიანები მოგვითხრობენ ჩვენი საბჭოთა ცხოვრების დიდ სიკეთეებზე, მის წინსვლასა და აღმავლობაზე.

„სიღატაკის, გაჭირვებისა და უბედურების სამყაროში“ — ასეა დასათაურებული გვერდი, რომელიც ცხადყოფს თურქეთისა და ირანის მშრომელთა უსიხარულო ცხოვრებას.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ, რომ ირანის მცხოვრებთა 71 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, თურქეთის 40 ათასი სოფლიდან 23 ათასს არა აქვს დაწყებითი სკოლა, საავადმყოფოს ერთი საწოლი მოდის 6-7 ათას კაცზე. ირანში ბავშვთა ნახევარი ვერ აღწევს 15 წლის და შიმშილით და ავადმყოფობით კვდება... თურქეთისა და ირანის მთავრობებს ამერიკელი ბატონების კარნახით დაღუპვისაკენ მიჰყავთ თავიანთი ქვეყნები.

გაშლილი გვერდები კარგი გამოვიდა. გაზეთს მადლობას ეტყვის მკითხველი.

დოკუმენტები ამერიკის ჩარევის შესახებ კავკასიის საქმეებში

ბაქო, 22 თებერვალი. (საკდესი). აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის „ისტორიის ინსტიტუტის შრომების“ მეცამეტე ტომში, რომელიც აქ გამოიცა, გამოქვეყნებულია ორმოცდათოთხმეტი დოკუმენტი ამერიკის ჩარევის შესახებ აზერბაიჯანის საქმეებში საბოქაქო ომის დროს.

ეს არის ოფიციალური დოკუმენტები აზერბაიჯანის ბურჟუაზიული მუსავატისტური მთავრობისა და მისი დელეგაციისა პარიზის საზღვო კონფერენციაზე 1919 წელს, კავკასიაში ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრის პოლკოვნიკ ჰასკელის, კონგრესმენ ვალტერ ჩანდლერისა და სხვა ამერიკელი ოფიციალური პირების დოკუმენტები.

დედნები ინახება აზერბაიჯანის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

დოკუმენტების ნაწილი შუქს ფენს ამერიკელთა იმ ორგანიზაციის მძარცველურ და სპეკულაციურ ხასიათს, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო სახელწოდებით „დახმარება ახლო აღმოსავლეთში“, რომელსაც პირდაპირ ეწოდება „შეერთებული შტატების პურის კორპორაციის“ აგენტი. ორმოცდამეექვსე ნომრით გამოქვეყნებული „ხელშეკრულება“, ხელმოწერილი 1920 წლის იანვარში ამერიკის მხრივ „ახლო აღმოსავლეთში დახმარების“ წარმომადგენლის პოლკოვნიკ ჰასკელის მიერ, აწესებს ამერიკის ფქვილის ფასს — ორას ათ დოლარს ტონაში, ხოლო მის სანაცვლოდ მიღებული ნავთის ფასს ექვსჯერ ნაკლებს — ოცდათხუთმეტ დოლარს ტონაში.

დოკუმენტები აგრეთვე მოწმობენ, რომ ამერიკელებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლეს გატანილი ნავთის სანაცვლოდ მოსაწოდებელი ფქვილი.

ზოგიერთი დოკუმენტი ასახავს ამერიკა-კავკასიაში ამერიკის წარმომადგენელთა კოლონიზატორული საქმიანობის აქტივიზაციას, რაც 1919 წლის მაისში დაიწყო, კერძოდ ამერიკის საგენერალგუბერნატოროს შექმნას ნახჩევანში.

როგორც „ისტორიის ინსტიტუტის შრომების“ წინასიტყვაობაში ხაზგასმით აღნიშნულია, გამოქვეყნებული დოკუმენტები „ერთხელ კიდევ ამხილებენ ყალბ ვერსიას ამერიკის შეერთებული შტატების ვითომდა ჰუმანური, უანგარო პოლიტიკის შესახებ მსოფლიოს ხალხების მიმართ, „კაცთმოყვარეობის“ მოსაზრებებით დახმარების გაწევის შესახებ.

ოქტომბრის მზის ქვეშ

✦ ✦ ✦

ოქტომბრის ბრიზეზ ბაბ ბ ბ

ყოველი მხრიდან

ᲐᲚᲘᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲐᲚᲟᲘᲠᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲮᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ

ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲩᲔᲜ ᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

�პᲔᲙᲘᲜᲘ, 20 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩენ იმ ინდოჩინეთის საკითხზე ჟენევის თათბირზე თავმჯდომარეებს — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ს. ლოდს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

პატივი მაქვს თქვენი ყურადღება მივაპყრო ლაოსის მეფის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფ. სანანიკონეს და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის შესაბამისად 1959 წლის 11 და 12 თებერვლის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ლაოსი აღარ შეასრულებს ჟენევის შეთანხმებებს. ლაოსის მეფის მთავრობის პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ ლაოსი აღარ არის შებოჭილი ჟენევის შეთანხმებებიდან გამომდინარე ვალდებულებებით და აღშაქრებს ლაოსში საერთაშორისო კომისიის საქმიანობის განგრძობის წინააღმდეგ; ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი არა მარტო აშკარად უჭერს მხარს ჟენევის შეთანხმებათა და ინდოჩინეთში მშვიდობის სერიოზული დარღვევის ამ ცალმხრივ აქტს, არამედ კიდეც ბევრს ლაპარაკობს იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები. „თავისუფალი“ იქნებიან გაგზავნონ სამხედრო მისია ლაოსში. ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ლაოსში გზავნის სამხედრო პერსონალს და დიდძალი იარაღი შეაქვს. ყოველივე ეს არა მარტო უკანონო ვერაგული აქტია, რომელიც არღვევს ჟენევის შეთანხმებებს, არამედ პირდაპირაც ეწინააღმდეგება ჟენევის თათბირის თავმჯდომარეთა შენიშვნას, რომელიც გამოთქმულია მათს 1959 წლის 31 იანვრის წერილებში ინდოეთის მთავრობისა და საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარისადმი ლაოსში იმის შესახებ, რომ საერთაშორისო კომისიამ ლაოსში უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა. ჩინეთის მთავრობა გადაჭრით ილაშქრებს ცალმხრივი დარღვევის და იმის წინააღმდეგ, რომ ლაოსის სამეფომ და შეერთებულმა შტატებმა უარი თქვან ჟენევის შეთანხმებებზე.

ითვალისწინებს რა ზემოხსენებულ სერიოზულ მდგომარეობას, ჩინეთის მთავრობა სთხოვს ჟენევის თათბირის თავმჯდომარეებს ჟენევის შეთანხმებათა სერიოზული დარღვევის ამ აქტთან დაკავშირებით სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელონ, რათა აღიკვეთოს ამერიკის შეერთებული შტატების ბნელი ზრახვები, რომელთა მიზანია სამხედრო ინტერვენციის მოწყობა ლაოსში, და შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა ინდოჩინეთის რაიონში.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ. ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲛᲝᲗᲘᲚᲐᲛᲞᲘᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲜᲘᲠᲕᲔ�გᲘᲔᲚᲘ ᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲜᲘ ᲐᲛᲣᲐᲛᲐᲓ ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲨᲕᲔᲓᲘᲡᲣᲠᲘ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲜᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲚᲢᲝᲡ ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ

ᲢᲝᲙᲘᲝ, (საკდესი). ამას წინათ იაპონიის გაზეთები გაიგსო სენსაციური ცნობებით ერთი ჭაბუკის დანაშაულობათა შესახებ, რომელმაც რამდენიმე დღეში დახოცა და დაჭრა 21 კაცი. ამ ინციდენტთან დაკავშირებით გაზეთებში სერიოზული შეშფოთება გამომქალავნდა იმის გამო, რომ წლითიწლობით იზრდება ბავშვთა დანაშაულობა.

ამ შეშფოთებას დამაჯერებელი საფუძველი აქვს. ეგრეთწოდებული „დასავლური კულტურა“, მთელი მისი ატრიბუტები — აურაცხელი ამერიკული განსტეტრული ფილმები, რომლებითაც სავსეა იაპონიის კინოეკრანები, ეკეკეი როკაბილი, როკ-ნ-როული, ასეულ ათასობით ბანქოს სათამაშო სახლი „პაჩინკო“, — „დასავლური კულტურა“, რომელიც გაძლიერებით იკიდებს ფეხს იაპონიაში ამერიკელების მიერ ოკუპაციის შედეგად, მეტად დამღუპველ გავლენას ახდენს იაპონელ ახალგაზრდობაზე. პოლიციის მთავარი სამართველოს ცნობების მიხედვით, ბავშვთა დამნაშავეობა იაპონიაში 1953 წლიდან 1958 წლამდე ერთისამად და მეტად გაიზარდა. შარშან პოლიციამ დაახლოებით 20 ათასი უწლოვანი დამნაშავე დააპატიმრა. მათ ბრალად ედებოდათ მკვლელობა, ძალადობა, ძარცვა.

ბავშვთა დამნაშავეობის პრობლემა სერიოზულად აფიქრებს იაპონიის საზოგადოებრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებს. შეგნებული აქვთ რა, რომ დამნაშავეობის მიზეზია არა მარტო იაპონელ მშრომელთა ოჯახების ძმიმე მატერიალური მდგომარეობა, არამედ „დასავლური კულტურის“ გამრყვნელი გავლენაც, იაპონიის პროგრესული წრეების წარმომადგენლები მტკიცედ მოითხოვენ, რომ მთავრობამ შეზღუდოს ამერიკული ფილმებისა და დეტექტიური ლიტერატურის შემოტანა იაპონიაში და იხსნას ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგების რაიონებში მცხოვრები ბავშვები და ჭაბუკები ამერიკელი მხედრიონის ზნე-ჩვეულების გავლენისაგან.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲝᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 22 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ იუწყება, გასული წლის მარტიდან დღემდე, იმის შედეგად, რომ პაკისტანის ჯარები ცეცხლს უშენენ ინდოეთის ტერიტორიას სილჰეთის და სილჩარის რაიონებში (ასამის შტატი), მოკლულია 12 და დაჭრილია 24 კაცი ადგილობრივ მცხოვრებთაგან და დაზიანებულია 3.000-ზე მეტი სახლი, მათ შორის მთავრობის დაწესებულებანი. ამ ხნის მანძილზე, აღნიშნავს გაზეთი, ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაიდო 7 შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მათ სისტემატურად არღვევდა პაკისტანი.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲒᲐ ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲨᲘ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს ფხენიანში გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავის გამო.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლი კვონ მუმ.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 23 თებერვალი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ვარშავაში გაიმართა დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1959-1965 წლების განვითარების დირექტივების განხილვას.

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დემოკრატიული პარტია პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასთან და გაერთიანებულ გლეხთა პარტიასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების დირექტივების განხორციელებაში.

ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲐ, ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲰᲐᲐᲑᲐ, 22 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ იუწყება, რომ გამოვიდა სპეციალური ბროშურა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისადმი.

ბროშურა შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალებს და ნათლად გვიჩვენებს, თუ რას მისცემს შვიდწლიანი გეგმა საბჭოთა ადამიანებს.

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საღამოს ელ-გუმჰურიას მოედანზე კაიროში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გამოცხადების პირველ წლისთავს.

მიტინგი გახსნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა ანვარ სადათმა, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ „დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი აღნიშნავს ერთიანობის დღეს, გათიშვასა და შეთქმულებებზე გამარჯვების დღეს“.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 20 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კაიროში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც მხარი დაუჭირა კამერუნელი ხალხის ბრძოლას კამერუნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ორატორები მოუწოდებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს, რომელიც დღეს იწყებს კამერუნის საკითხის განხილვას, გამოიტახოს გადაწყვეტილება აფრიკის ამ ქვეყნის ხალხთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კავშირის დელეგაციის მეთაურმა აფრიკის ხალხთა აკრის კონფერენციაზე ჭუკამედ ფუად გალალმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი სავსებით უჭერს მხარს კამერუნელი ხალხის ბრძოლას ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მიტინგზე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის საბჭოს სახელით გამოვიდა ჰერსი საად ედ-დინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მიერ კამერუნის საკითხის განხილვა დიდი გამარჯვებაა არა მარტო კამერუნელი ხალხისა, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა.

საფრანგეთის ხელისუფალნი, თქვა თავის სიტყვაში კამერუნელი ხალხის წარმომადგენელმა აფაანა ოსედიმ, კამერუნში გზავნიან სულ ახალ ჯარის ნაწილებს და ცდილობენ ჩაახშონ კამერუნელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მაგრამ კამერუნელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას და კვლავ ერთგულია პრინციპებისა, რომლებიც გამოაცხადა კამერუნის მოსახლეობის კავშირის პარტიამ, რომელიც იბრძვის კამერუნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის მიზეზებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ტექსტი დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. დეპეშაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოითხოვოს ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ და უფუო განთავისუფლება, პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში შეზღუდვების აღმოფხვრა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის მოწყობა კამერუნის ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ და საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲠᲔᲒᲐ ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲨᲘ

ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 22 თებერვალი. (საკდესი). დღეს საღამოს ფხენიანში გაიმართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავის გამო.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო არმიის გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა ლი კვონ მუმ.

ᲙᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ

ᲨᲔᲠᲨᲐᲜ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲡᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲞᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲕᲘᲪᲝᲪᲮᲚᲐᲕᲓᲘ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ:

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲠᲘᲒᲓᲐᲕᲘᲪᲘᲐ!

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲧᲣᲠᲜᲐᲚ „ᲘᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲨᲘ“ ᲓᲐᲘᲑᲭᲔᲓᲐ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲗᲐᲛᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲐ.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲜᲔᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲗ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲨᲕᲚᲘᲡᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

Ჯ. ᲞᲔᲢᲠᲝᲕᲘ,

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ.

მე და ჩემი ამხანაგები კარგად ვიცნობთ გრიგოლ გრიგოლის-ძე პუშკინს, დიდი პოეტის შთამომავალს, ერთად მუშაობით...

გრიგოლ გრიგოლის-ძე პუშკინი მეტად თავმდაბალი და უბრალო ადამიანია. საბჭოთა არმიის რიგებში მრავალი წლის სამსახურის შემდეგ იგი დემობილიზებულ იქნა და ახლა გაზეთ „პრავდის“ სტამბაში მუშაობს ექვსი ფერით ღრმად მბეჭდავ მანქანაზე. გრიგოლ გრიგოლის-ძეს ხშირად უდგება საიუბილეო კრებებში მონაწილეობის მიღება ბოლდინოში, მიხაილოვსკოეში. ამა წლის 9 თებერვალს გრიგოლ გრიგოლის-ძე ლიტერატორთა სახლში მიიწვიეს მისი დიდი პაპის მამის გარდაცვალების 122 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

დიდი რუსული ლიტერატურა მილიონობით ტირაჟით მოეფინა მთელ ქვეყანას და მრავალი ადამიანის გული მოიხადირა. ამ დიდ კეთილშობილურ საქმეში თავისი მკირედი წვლილი შეაქვს პუშკინის შთამომავალსაც. გრიგოლ გრიგოლის-ძე პუშკინი თხუთმეტ ენაზე ბეჭდავს ჟურნალებს, რომლებსაც დედამიწის ყოველ კუთხეში კითხულობენ.

ცოლისადმი გაგზავნილ წერილში 1834 წელს პუშკინი წერდა: „კარგი იქნება, თუ კიდევ ერთ 25 წელიწადს ვიცოცხლებ, მაგრამ თუ ამ ათ წელიწადში გადაგბრუნდი, აღარ ვიცი რას იზამ, ახ რას იტყვის მაშკა და განსაკუთრებით საშკა“. ეს „საშკა“, რომელსაც პოეტი ხშირად იგონებს თავის წერილებში ცოლისადმი, იყო სწორედ გრიგოლ გრიგოლის-ძის პაპა — ვეხეოლი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე, ა. ს. პუშკინის ერთ-ერთი შვილი ოთხიდან. მან 81 წელი იცოცხლა და 1914 წელს გარდაიცვალა. მეორე სურათზე ხედავთ პოეტის შვილიშვილს — გრიგოლ ალექსანდრეს-ძეს, რომელმაც 71 წელიწადი იცოცხლა და 1940 წელს გარდაიცვალა. გრიგოლ ალექსანდრეს-ძე ღვიძლი ძმაა ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძისა, რომელსაც შეხვდა ვ. კატაევი ბელგიაში.

გრიგოლ ალექსანდრეს-ძე თავისი სამშობლოს ერთგული შვილი იყო. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი დარჩა რუსეთში და სამოქალაქო ომის ფრონტებზე იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გრიგოლ ალექსანდრეს-ძე მუშაობდა პუშკინის ხელნაწერთა განყოფილებაში ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. შემდეგ სურათებზე არიან პოეტის შვილიშვილის შვილი გრიგოლ გრიგოლის-ძე პუშკინი და მისი შვილები: ცხრამეტი წლის იულია, მოსკოვის საავიაციო ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, და შვიდი წლის საშა პუშკინი.

იულიას უკვე არჩეული აქვს ცხოვრების გზა, მაგრამ საშას მომავალს ჯერ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ. იქნება იგი კოსმოსურ სივრცეებში გაფრინდეს ან მეცნიერი გამოვიდეს, ანდა რაიმე მუშურ ხელობას დაეუფლოს. ნათელი თვალით შესცქერიან ქვეყანას პოეტის შვილიშვილის შვილები. ისინი ცხოვრობენ იმ ბედნიერ დროს, რომელზეც ეგზომ ოცნებობდა დიდი პოეტი.

ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ საღამოს ელ-გუმჰურიას მოედანზე კაიროში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გამოცხადების პირველ წლისთავს.

მიტინგი გახსნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კავშირის გენერალურმა მდივანმა ანვარ სადათმა, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში განაცხადა, რომ „დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი აღნიშნავს ერთიანობის დღეს, გათიშვასა და შეთქმულებებზე გამარჯვების დღეს“.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲙᲐᲘᲠᲝᲨᲘ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 20 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კაიროში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც მხარი დაუჭირა კამერუნელი ხალხის ბრძოლას კამერუნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ორატორები მოუწოდებდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანს, რომელიც დღეს იწყებს კამერუნის საკითხის განხილვას, გამოიტახოს გადაწყვეტილება აფრიკის ამ ქვეყნის ხალხთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კავშირის დელეგაციის მეთაურმა აფრიკის ხალხთა აკრის კონფერენციაზე ჭუკამედ ფუად გალალმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხი სავსებით უჭერს მხარს კამერუნელი ხალხის ბრძოლას ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მიტინგზე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობის საბჭოს სახელით გამოვიდა ჰერსი საად ედ-დინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მიერ კამერუნის საკითხის განხილვა დიდი გამარჯვებაა არა მარტო კამერუნელი ხალხისა, არამედ აგრეთვე მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა.

საფრანგეთის ხელისუფალნი, თქვა თავის სიტყვაში კამერუნელი ხალხის წარმომადგენელმა აფაანა ოსედიმ, კამერუნში გზავნიან სულ ახალ ჯარის ნაწილებს და ცდილობენ ჩაახშონ კამერუნელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. მაგრამ კამერუნელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას და კვლავ ერთგულია პრინციპებისა, რომლებიც გამოაცხადა კამერუნის მოსახლეობის კავშირის პარტიამ, რომელიც იბრძვის კამერუნის გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის მიზეზებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს ტექსტი დეპეშისა, რომელიც გაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. დეპეშაში ნათქვამია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოითხოვოს ყველა პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ და უფუო განთავისუფლება, პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში შეზღუდვების აღმოფხვრა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით საყოველთაო-სახალხო კენჭისყრის მოწყობა კამერუნის ორივე ნაწილის გაერთიანების შესახებ და საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობა.

Ვ. Ი. ᲜᲔᲛᲘᲠᲝᲕᲘᲩ-ᲓᲐᲜᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.). ამ დღეებში სახელმწიფო თეატრში გაიმართა საბჭოთა სცენის გამოჩენილი მოღვაწის, ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

როგორც ცნობილია, ახი წლის წინათ, 1858 წელს ქ. მახარაძეში პოდპოლკოვნიკის ოჯახში დაიბადა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო. მახარაძის რაიონის მშრომელებმა ღრმა პატივისცემით მოიგონეს იგი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ი. ანთელიძემ. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა თეატრმცოდნემ ა. ბურთიკაშვილმა.

ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აღსაბაძე. საღამოზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მახარაძის თეატრის დირექტორი ბ. ნაკაიძე.

მახარაძის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით ამიერიდან ქ. მახარაძეში ნასაკრალის ქუჩას ეწოდა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელი.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ

20 თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ სიმფონიურ კონცერტზე (დირიჟორი ჯ. გოკიელი) ახალგაზრდა საბჭოთა შემსრულებლების შესანიშნავი პლეადის კიდევ ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს გავეცანთ.

ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲖᲔ

გამოჩენილი საბჭოთა მევიოლინის პროფესორ დ. ოისტრახის მოწაფე როზა ფაინი პოზნანში ვენიავსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ (პირველი პრემია) ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა.

თბილისში თავისი პირველი გამოსვლისათვის მევიოლინემ ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტი (რე მაჟორი) აირჩია.

აღნიშნული ნაწარმოები შთანაფიქრის სირთულით გამორჩევა და შემსრულებლისაგან უაღრესად დახვეწილ ტექნიკას მოითხოვს. მით უფრო სასიხარულო იყო, რომ რ. ფაინმა თავისი შესრულებით გვიჩვენა არა მარტო ინსტრუმენტის ვირტუოზული ფლობა, არამედ, რაც მთავარია, თავისი ფაქიზი მუსიკალური გემოვნებაც გამოამჟღავნა.

მევიოლინე ქალს კარგად აქვს შეგრძნობილი და განცდილი ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტის ლირიკული სამყაროს დიდი შინაგანი სიღრმე. ამიტომაც არის, რომ ასე დამაჯერებელია ლირიკული განწყობილების დრამატიზირებისა და ემოციური ტრანსფორმირების უაღრესად ფაქიზი ნიუანსების ხაზგასმაც კი. ამასთან დეტალების დახვეწა არტისტს სრულიადაც არ უშლის ხელს მუსიკალური აზრის განვითარების ერთიანი პულსის შეგრძნებაში.

რ. ფაინმა დიდი შინაგანი არტისტიზმით გადმოსცა სონატური ციკლის სამივე ნაწილი. ლირიკული ემოციის თვისებრივად გარდაქმნასა და შინაგანი დრამატიზმის ხაზგასმაზე გადაიტანა მევიოლინემ აქცენტი სონატურ ალეგროში (1 ნაწ.). მელანქოლიურ განწყობილებას გაუსვა ხაზი შესანიშნავ ანდანტეში (II ნაწ.). ვირტუოზული ბრწყინვალებით გადმოსცა ჟანრული ფინალი.

საინტერესო იყო კონცერტის მეორე სოლისტის — პიანისტ ანატოლი ვედერნიკოვის გამოსვლა (მოსკოვი). რახმანინოვის 1 საფორტეპიანო კონცერტის შესრულებით მან ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა ის სი